

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

კურსი: კონსტიტუცია და დემოკრატია



თემა: კონსტიტუციის შესახებ

მასწავლებლის სახელმძღვანელო

2014

სარჩევი	2
კონსტიტუციის ცნება, არსი და იურიდიული ბუნება	3
კონსტიტუციათა კლასიფიკაციები	7
მუდმივი და დროებითი კონსტიტუციები	9
კონსტიტუციონალიზმის ტრადიციები საქართველოში	10
1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები	16
საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციები	19
საქართველოს 1995 წლის აგვისტოს კონსტიტუცია	30
კონსტიტუციათა კლასიფიკაციები	7
მუდმივი და დროებითი კონსტიტუციები	9

კონსტიტუციის ცნება, არსი და იურიდიული ბუნება

კონსტიტუციონალიზმის ისტორია

კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც განაპირობებს საზოგადოებაში ისეთ ფასეულობათა ბალანსს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ადამიანის კეთილდღეობის მიღწევა. თავისუფლების, თანასწორობისა და წესრიგის კონსტიტუციური თანაფარდობა ქმნის ისეთ მმართველობას, სადაც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ხელისუფლება ამ უფლებებითა და თავისუფლებებითაა შებოჭილი და პიროვნებასთან ურთიერთობაში მისი თვითნებობის შესაძლებლობა ლიმიტირებულია. ამიტომაც, კონსტიტუცია უზენაესი კანონია, რომელიც ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს, როგორც პიროვნების, ისე ნებისმიერი დემოკრატიული ხელისუფლებისათვის. კონსტიტუციისადმი ამგვარი დამოკიდებულება აუცილებლად მოითხოვს მისი არსის გარკვევასა და განვითარების ისტორიის შესწავლას.

კონსტიტუცია “კონსტიტუტიო” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დაწესებას, დადგენას, წყობას, აგებულებას. ტერმინს “კონსტიტუცია” ძალზედ დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა, თავიდანვე კონსტიტუციის თანამედროვე იურიდიული გაგებით არ გამოიყენებოდა. რესპუბლიკურ რომში იგი იმპერატორის მიერ გამოცემული აქტების სახელწოდებას წარმოადგენდა, თუმცა, ამ აქტების იურიდიული შინაარსი მოკლებული იყო კონსტიტუციის დღევანდელ მნიშვნელობას. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში

არისტოტელე განასხვავებდა სახელმწიფოს ძირითად და ჩვეულებრივ კანონებს. საერთოდ, კონსტიტუცია, როგორც განსაკუთრებული იურიდიული და პოლიტიკური აქტი, დღევანდელი იურიდიული გაგებით, ბურჟუაზიულ საზოგადოებამდე არ არსებობდა. მისი ჩამოყალიბება ემთხვევა ბურჟუაზიის პოლიტიკური ბრძოლის შედეგად მოპოვებული უფლებების საკანონმდებლო ფიქსაციის პროცესს. საბოლოოდ ტერმინმა “კონსტიტუცია” თანამედროვე იურიდიული მნიშვნელობა XVII საუკუნის შუახანებში

შეიძინა, იმ დროიდან, როცა ბუნებითი სკოლის წარმომადგენელმა თომას ჰობსმა მას "სახელმწიფოს ძირითადი კანონი" უწოდა.

კონსტიტუცია, როგორც თანამედროვე დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, თავისი იურიდიული, სოციალური და პოლიტიკური დანიშნულებით წარმოიშვა XVIII საუკუნის ბოლოს. მის წარმოშობას წინ უძღოდა კონსტიტუციური მნიშვნელობის ისეთი აქტები, როგორც იყო "პეტიცია უფლებათა შესახებ" (1628 წ. ინგლისი), "სახალხო თანხმობის პროექტი (1647 წ.) და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური მნიშვნელობის პირველი აქტები მიღებულ იქნა ევროპაში, პირველი დაწერილი, მოქმედი კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონი, მიიღეს ოკეანის გაღმა, აშშ-ში 1787 წელს. იმავე საუკუნის ბოლოს, კონსტიტუციები მიიღეს საფრანგეთში 1791 და 1793 წლებში; პოლონეთში - 1793 წელს და ა.შ.

საზოგადოების განვითარების კვალობაზე თანდათანობით ივსებოდა კონსტიტუციის, როგორც იურიდიული დოკუმენტის, სახე და შინაარსი, მისი როლი და მნიშვნელობა. ამ ევოლუციურ განვითარებაში გამოყოფენ კონსტიტუციათა ოთხ თაობას: პირველ თაობას მიეკუთვნება ის კონსტიტუციები, რომლებიც ისტორიულად დიდი ხნის წინათ არიან მიღებული. ზოგიერთი მათგანი გარკვეული ცვლილებებითა და დამატებებით დღესაც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ზოგიერთი კი, უკვე გაუქმებულია. ამის კლასიკური მაგალითია აშშ-ს კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1775-85 წწ. ამერიკელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდეგ. ეს კონსტიტუცია 27 შესწორებით მოქმედებს დღესაც. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე XIX ს-ში მიღებული კონსტიტუციები - ნორვეგიის (1814), ბელგიის (1831), ლუქსემბურგის (1868), შვეიცარიის (1874).

კონსტიტუციური შემოქმედების განსაკუთრებული ნაყოფიერებით დაიწყო XX საუკუნე. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ავსტრალიის კავშირის 1900 წლისა და ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუციები. ამავე თაობას მიეკუთვნება დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.

კონსტიტუციათა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მიღებული კონსტიტუციები. ამ კონსტიტუციათა ახალი ჯგუფისადმი მიკუთვნება განაპირობა ომის შემდეგ აღმოცენებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა პირობებმა. ამ თაობის კონსტიტუციების მახასიათებელი ნიშანია მშვიდობიანი დებულებების შემოტანა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სპექტრის გაფართოება.

კონსტიტუციათა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ე.წ. “სოციალისტური” ტიპის კონსტიტუციები, რომელთა მთავარ მახასიათებელს პრინცი პების დეკლარაციული, ფიქტიური ხასიათი წარმოადგენს.

და ბოლოს, მეოთხე ჯგუფში შედის განვითარებადი სახელმწიფოების კონსტიტუციები.

რაც მთავარია, კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორია ნათლად უჩვენებს მის მნიშვნელობას ნებისმიერი სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესწყობილების სისტემაში. აქედანვე გამომდინარეობს გამუდმებული მცდელობა იმისა, რომ შემუშავებულიყო კონსტიტუციის მეტ-ნაკლებად სრული განმარტება. განმარტებათა მრავალფეროვნებაში, ნაწილი კონსტიტუციას განიხილავს როგორც იმ დებულებების, დოკუმენტების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის პრინცი პებს (უეიდი, ფილიპსი). ზოგიერთი ავტორი კონსტიტუციის ცნებას უმატებს სახელმწიფო ორგანოების ურთიერთკავშირსა და პიროვნების უფლებრივ მდგომარეობას სახელმწიფო ხელისუფლებასთან მიმართებაში (ელინეკი). საბჭოთა ავტორებმა კონსტიტუციის ცნებას კლასობრივი შინაარსი დაუმატეს და ამ პოზიციიდან ახსნეს მისი არსი და მნიშვნელობა.

კონსტიტუციის ცნება

ყველა არსებული ცნების საფუძველზე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ კონსტიტუციის, როგორც სამართლებრივი აქტის, ზოგადი განმარტება.

კონსტიტუცია არის სამართლებრივი აქტი ან სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც მიღებულია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ ან რეფერენდუმის გზით, გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა და არეგულირებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორგანიზაციის საფუძვლებს, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითად პრინციპებს.

როგორც კონსტიტუციის ცნება, ისე მისი განვითარების ისტორია ნათლად მეტყველებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სახელმწიფოსა და საზოგადოების შენახვისა და განვითარების საქმეში.

კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს დამფუძნებელი დოკუმენტი

კონსტიტუციის, მისი ნორმების ადგილი სამართლის სისტემაში განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ კონსტიტუციის დამფუძნებლური ხასიათი, რაც გულისხმობს იმ გარემოებას, რომ კონსტიტუცია, როგორც წესი, მიიღება ხალხის მიერ ან ხალხის სახელით. ამ გარემოებას უზრუნველყოფს თანამედროვე დემოკრატიულ კონსტიტუციებში სახალხო და სახელმწიფო სუვერენიტეტების ერთმნიშვნელოვანი აღიარება. კონსტიტუციის დამფუძნებლურ ხასიათს განაპირობებს მისი შექმნისა და მიღების უფლების მქონე სუბიექტების განსაკუთრებულობა და პირველადობა, რომლის საფუძველზე სხვა სამართლებრივი აქტების დებულებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციურ დებულებებს. აქედან გამომდინარეობს კონსტიტუციის, როგორც მიმდინარე კანონმდებლობის ბაზის, ცნება.

კონსტიტუცია, როგორც მიმდინარე კანონმდებლობის ბაზა, გულისხმობს იმას, რომ სწორედ კონსტიტუციური ნორმები და დებულებები განსაზღვრავენ ქვეყანაში კანონს. ყველა არსებული ცნების საფუძველზე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ კონსტიტუციის, როგორც სამართლებრივი აქტის, ზოგადი განმარტება. ყველა კანონი გამოიცემა კონსტიტუციის შესაბამისად.

ნებისმიერი სამართლებრივი აქტი უნდა გამომდინარეობდეს ან შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აქტები

არაკონსტიტუციურია, რაც მათი ბათილობის პირობაა. მაშასადამე, კონსტიტუციური ნორმები მათი საბაზისო და პირველადი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ და არეგულირებენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს, ხოლო მიმდინარე კანონმდებლობის ფუნქცია აღნიშნული კონსტიტუციური დებულებების დეტალური რეგლამენტაციაა.

კონსტიტუციის უზენაესობა

კონსტიტუციის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლებრივ სისტემაში განპირობებულია მისი უზენაესობით, რაც დასახელებული პირველადობის ერთგვარი გაგრძელებაა. კონსტიტუციის უზენაესობის ქვეშ იგულისხმება მისი, როგორც ძირითადი კანონის, უმაღლესი იურიდიული ძალა იერარქიულად ქვემოთ მდგომი ყველა ნორმატიული აქტის მიმართ. ეს, ერთი მხრივ, გამოიხატება იმაში, რომ კონსტიტუცია არის სამართლებრივი წყარო სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული თუ სხვა ნებისმიერი მიმდინარე კანონმდებლობისათვის. მეორე მხრივ, ეს უზენაესობა გამოიხატება იმის აუცილებლობაში, რომ კანონების მიღების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ კონსტიტუციაში მითითებულ სახელმწიფო ორგანოებს. კონსტიტუცია აწესებს მოვალეობას, რომლითაც სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოვალენი არიან დაიცვან კონსტიტუცია. ზოგჯერ კონსტიტუციები პირდაპირ მიუთითებენ მის უზენაესობაზე. კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფისა და მისი დაცვის ფუნქციას ემსახურება საკონსტიტუციო კონტროლი.

კონსტიტუციის სტაბილურობა

კონსტიტუციური ნორმების განსაკუთრებულ ადგილს სამართლის ნორმათა სისტემაში განაპირობებს კონსტიტუციის სტაბილურობა.. იგი უზრუნველყოფილია მისი ნორმების რეალური სოციალური საფუძვლით და მისი მიღებისა და მასში ცვლილებების შეტანის განსაკუთრებული წესის არსებობით. თავისი შინაარსით, კონსტიტუციის სტაბილურობა გულისხმობს კონსტიტუციური პრინციპებისა და დებულებების ისეთ სიმტკიცეს, როცა სოციალური მანევრირების შედეგად

ხელისუფლებაში მოსულ ახალ პოლიტიკურ ძალას არა აქვს შესაძლებლობა არსებითი ხასიათის ზეგავლენა მოახდინოს მათზე და შეცვალოს ისინი. ხელისუფლება ვალდებულია შეეგუოს და დაემორჩილოს კონსტიტუციით განმტკიცებულ სოციალურ პირობებს. აღნიშნული, რასაკვირველია, არ ნიშნავს უპირობო სტაბილურობას, რამდენადაც ყოველი სამართლებრივი ნორმა და მათ შორის, კონსტიტუციური ნორმაც სოციალური ნორმების სახესხვაობას წარმოადგენს. მათ საფუძველს, ბუნებრივია, რეალური სოციალური საყრდენი უნდა გააჩნდეს. ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების ცვალებადობა თავისთავად მოითხოვს კონსტიტუციური ნორმების შესაბამისობაში მოყვანას, რაც აუცილებელია მათი რეალიზებისათვის.

ლეგიტიმურობა

კონსტიტუციის როლისა და მნიშვნელობის პირობად ითვლება მისი ლეგიტიმური ხასიათი, ანუ როცა კონსტიტუცია მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. ეს მოთხოვნები, როგორც წესი, აისახება თვით კონსტიტუციაში. კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია ძალადობის რაიმე ფორმით, კანონიერ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურად. როცა ვახასიათებთ კონსტიტუციას, მისი ნორმების მნიშვნელობას, ხაზი უნდა გაესვას თანამედროვეობის ისეთ მახასიათებელს, როგორიცაა კონსტიტუციის **პირდაპირი მოქმედება**.

კონსტიტუციათა კლასიფიკაცია (სახეები)

თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციებს შორის პრაქტიკულად არ მოიპოვება ორი ისეთი კონსტიტუცია, რომლებიც თავიანთი სპეციალური ნიშნებით აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან, კონსტიტუციათა დღეს არსებულ მრავალფეროვნებას აუცილებლად ახასიათებს საერთო ნიშნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შედარებითი მეთოდის გამოყენებით ერთმანეთს შევუპირისპიროთ სხვადასხვა კონსტიტუციები, უკეთ გავაცნობიეროთ მათი სპეციფიკა, მათი თავისებურებები, სტრუქტურა, ძირითადი პრინციპები და ა.შ.

კონსტიტუციათა დღეს წარმოდგენილი მრავალფეროვნება გვაძლევს მათი კლასიფიკაციის საშუალებას სრულიად განსხვავებული ნიშნების მიხედვით. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციათა კლასიფიკაცია პირობით ხასიათს ატარებს. ამიტომაც მათ კლასიფიკაციას სხვადასხვა ავტორი განსხვავებული სისტემით წარმოადგენს.

დაწერილი და დაუწერელი კონსტიტუციები

კონსტიტუციებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ მათი გამოხატვის ფორმის მიხედვით. ამ ნიშნით გამოყოფენ: დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციებს.

დაწერილი კონსტიტუციის ქვეშ იგულისხმება ერთიანი, სისტემატიზირებული ნორმატიული აქტი, რომელიც მიღებულია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ და გამოცხადებულია ქვეყნის ძირითად კანონად.

რაც შეეხება **დაუწერელ კონსტიტუციას**, ამ ნიშნის მიხედვით მათი გამოყოფა დაკავშირებულია გასული საუკუნის იმ პერიოდთან, როცა სახელმწიფოთა უმრავლესობას ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ძირითადი კანონი და მოქმედ წესებსა და ნორმებს არასისტემატიზირებული სახე ჰქონდათ. ამ დროს ქვეყანაში ტრადიციულად მოქმედებს ფორმალური კონსტიტუცია, რომელიც შედგება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებისაგან, კონსტიტუციური ჩვეულებებისა და პრეცედენტებისაგან. ამასთან, ეს ერთიანიობა არ არის აღიარებული ერთიან კანონად. დაუწერელი კონსტიტუციის რეგულირების საგანი ისეთივეა, როგორც დაწერილისა. ამ ფორმის კონსტიტუციის კლასიკური მაგალითია ინგლისის დაუწერელი კონსტიტუცია. დაუწერელი კონსტიტუციით სარგებლობს აგრეთვე ახალი ზელანდია და ისრაელი.

სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობას, მართალია, დაწერილი კონსტიტუცია აქვს, მაგრამ, რადგანაც შეიმჩნევა პრეცედენტული სამართლის გაძლიერებისა და მისი გეოგრაფიის გაფართოების ტენდენცია, ამგვარი კლასიფიკაციის მნიშვნელობა დღესაც საკმაოდ აქტუალურია.

მუდმივი და დროებითი კონსტიტუციები

კონსტიტუციური აქტის ან ქვეყნის ძირითადი კანონის მოქმედების ვადის მიხედვით, განასხვავებენ მუდმივ და დროებით კონსტიტუციებს. დროებითა კონსტიტუცია, რომელიც გამიზნულია გარკვეული დროით მოქმედებისათვის. კონსტიტუციის დროებითობას განსაზღვრავს იმ ვადის დათქმა, რომელშიც უნდა მოქმედებდეს კონსტიტუცია ან იმ ფაქტის, მოვლენის განსაზღვრა, რომლის დადგომის შემდეგ კონსტიტუციამ უნდა შეწყვიტოს მოქმედება.

მუდმივია კონსტიტუცია, რომელიც გათვალისწინებულია განუსაზღვრელი დროით მოქმედებისათვის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი სამუდამო მოქმედებისაა და არ შეიძლება მასში ცვლილებების ან დამატებების შეტანა. ასეთი კონსტიტუცია პრაქტიკულად არ არსებობს.

მოქნილი და მყარი კონსტიტუციები

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიხედვით, განასხვავებენ მოქნილ და მყარ კონსტიტუციებს. მოქნილია კონსტიტუცია, რომელშიც ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ისეთივე წესია დადგენილი, როგორც ჩვეულებრივი კანონებისათვის, მაგალითად, გერმანიაში. მყარი კონსტიტუცია კი ითვალისწინებს ცვლილებებისა და დამატებების შეტანის რთულ მექანიზმს. მყარ კონსტიტუციათა რიგში ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ განსაკუთრებით მყარ კონსტიტუციებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ს კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომლის მიხედვით, “თუკი თითოეული პალატის წევრთა ორი მესამედი ამას საჭიროდ ჩათვლის, კონგრესმა უნდა წარმოადგინოს წინადადებები ამ კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად, ან მან ცალკეული შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების ორი მესამედის მოთხოვნით უნდა მოიწვიოს კონვენტი შესწორებათა განსახილველად, რომლებსაც, ორივე შემთხვევაში, არსებითად ძალა ექნება და განიხილება ამ კონსტიტუციის ნაწილად, როდესაც ისინი რატიფიცირებული იქნება ცალკეული შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების სამი მეოთხედის მიერ, ან კონვენტზე შეკრებილთა სამი მეოთხედის მიერ...”

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციას, მასში ცვლილებების შეტანის რთული წესია დადგენილი.

იურიდიული და ფაქტობრივი კონსტიტუციები

საზოგადოებრივ ურთიერთობებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს იურიდიული და ფაქტობრივი კონსტიტუციები.

ფაქტობრივი კონსტიტუცია იმ რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობაა, რომელიც მოცემულ მომენტში ქმნის ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებს.

იურიდიული კონსტიტუცია კი საზოგადოების რეალური საფუძვლის იურიდიული გაფორმებაა, ე.ი. იურიდიული კონსტიტუცია, იმ სამართლებრივ ნორმათა სისტემაა, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. ფაქტობრივ და იურიდიულ კონსტიტუციათა შორის მაქსიმალური თანაფარდობა უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იურიდიული კონსტიტუცია მოკლებული იქნებოდა სოციალურ საფუძველს და პრაქტიკულად, ვერ მოახერხებდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებას. ამ დროს კონსტიტუცია ფარატიანა ქაღალდი იქნებოდა და არა ქვეყნის ძირითადი კანონი. მისი მიღების წესის მიხედვით განასხვავებენ ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ და რეფერენდუმის გზით მიღებულ კონსტიტუციებს. ამავე ნიშნის მიხედვით, გამოყოფენ **ოქტროირებულ ანუ ნაზბომებ** კონსტიტუციებს. მიუთითებენ ორი სახის ოქტროირებაზე, **საშინაო** - როცა საკუთარი მონარქი საკუთარ ხალხს ჩუქნის კონსტიტუციას და **საგარეო** - ყოფილი მეტროპოლია ყოფილ კოლონიას უტოვებს კონსტიტუციას.

ჩამოთვლილი კლასიფიკაცია პირობითი ხასიათისაა და თანაც არა ამომწურავი. მაგალითად, ლიტერატურაში მოიხსენიებენ მონარქიულ და რესპუბლიკურ კონსტიტუციებს, მმართველობის ფორმის მიხედვით, დემოკრატიულ, ავტორიტარულ და ტოტალიტარულ კონსტიტუციებს, პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით, ფედერაციულს და უნიტარულს - ტერიტორიულსა ხელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის მიხედვით და ა.შ.

კონსტიტუციონალიზმის ტრადიციები საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ტრადიციებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორია არსებითად დამოუკიდებლობის მოპოვების ან მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის ისტორიაა. როცა თვალს ვადევნებთ ამ ისტორიას, ჩანს, რომ ქართველი ერის მდიდარ და მშფოთვარე წარსულში განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული, სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებს. ამასთან, მხოლოდ დავითისა და თამარის დროს თუ მოიცალეს ქართული სახელმწიფოს შემოქმედებითი აღმშენებლობისათვის. მანამდელი და მათი შემდგომი პერიოდები არსებითად ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი და ეროვნული გადარჩენის საქმეს ხმარდებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიკურ და პოლიტიკურ განსაცდელში მყოფმა საქართველომ გააკეთა პოლიტიკური არჩევანი რუსეთთან კავშირის სახით, რაც 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის სახელით ცნობილი ხელშეკრულებით გაფორმდა. ამ დოკუმენტით, საშინაო ავტონომიის შენარჩუნების პირობით უარი იყო ნათქვამი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე, რაც შემდგომში ქართული სახელმწიფოებრიობისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. 1801 წლიდან ქართლკახეთის სამეფოთი დაწყებული, XIX საუკუნის შუა ხანებში დანარჩენი პოლიტიკური ერთეულების შემოერთებით რუსეთმა დაასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა.

ქართველი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი შეგნება ერთი წუთითაც არ შეგუებია ამ ფაქტს. ამ პერიოდიდან ისევ დაიწყო ეროვნულგანმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპი.

სწორედ ამ ბედუკუღმართობათა გამო, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მაღალი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი კულტურის მქონე საქართველოში კონსტიტუციონალიზმის ისტორიის ათვლა XX საუკუნის პირველ ნახევარს

უკავშირდება და აქ ყოველთვის მხედველობაში გვაქვს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.

როცა საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ტრადიციებზე, მის ისტორიაზე ვსაუბრობთ, ჩვენი აზრით, აუცილებელია რამდენიმე საუკუნით უკან დავიხიოთ და თანამედროვე გაგებით კონსტიტუციონალიზმზე, მის ისტორიაზე საუბართან ერთად, ვილაპარაკოთ კონსტიტუციური აზროვნების ისტორიაზეც, რაც სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს.

კონსტიტუციონალიზმის მსოფლიო ისტორიაზე საუბრისას, მხედველობაში აქვთ არა მარტო კონსტიტუციის თანამედროვე გაგების აქტები, არამედ რომის იმპერატორის მიერ გამოცემული აქტები, თუ არისტოტელეს შეხედულებები სახელმწიფოს ძირითადი და არაძირითადი კანონების შესახებ, ანდა 507 წლის კლისთენეს კონსტიტუცია და ა.შ.

მსგავს ჭრილში განხილულ უნდა იქნას საქართველოს კონსტიტუციური ტრადიციებიც, კონსტიტუციონალიზმის ისტორია, აზროვნების ის წესი, რომელიც ოდითგანვე სახელმწიფო ხელისუფლების (ფართო გაგებით) განხორციელებაში, მის საკანონმდებლო რეგლამენტაციასა და რეგულირებაში გამოიხატებოდა.

ამ თვალსაზრისით, საჭიროდ მიგვაჩნია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ დღეისათვის აღიარებული საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორია და კონსტიტუციური აზროვნების ისტორია, უზოგადესად წარმოვიდგინოთ ის, რაც სამართლის ისტორიკოსთა კვლევის საგანია.

ქართული კონსტიტუციური აზროვნების ისტორია

საქართველოში კონსტიტუციური აზროვნების შესახებ მსჯელობა, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერ- თიანების დროიდან დავიწყოთ. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამდე პატარა სახელმწიფოებრივი ერთეულების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილების, მათი მართვა-გამგეობის ფორმების შესახებ, მართალია, მდიდარ

მასალას იძლევა საეკლესიო თუ საერო ხელისუფლებისაგან გამოცემული სიგელ-გუჯრები, დოკუმენტები, აქტები, ბოძების სიგელები და სხვა, მაგრამ კონსტიტუციური მნიშვნელობის სახელმწიფო სამართლებრივი დარგის რაიმე ნორმატიული მასალა არ შემონახულა. საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების შემდეგ კი, ცხადია, შეიქმნა საერთო ქართული, ერთიანი სახელმწიფო წყობილება, ჩამოყალიბდა შესაბამისი სახელმწიფო მექანიზმი. ყველაფერი ეს მოითხოვდა შესაბამის საკანონმდებლო რეგლამენტაციას, რასაც, როგორც ჩანს, ქართული სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი აზროვნება კარგად ართმევდა თავს. ამის ნათელი დასტურია ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი ძეგლები.

უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი წყაროა **“ხელმწიფის კარის გარიგება”**. მასში განსაზღვრულია სახელმწიფო მოხელეთა უფლებამოვალეობები, აღწერილია სამეფო კარის დარბაზობისა და ვაზირობის წესი, ყოველივე ამის გამო, მას სახელმწიფო სამართლებრივ ძეგლად მიიჩნევენ.

“ხელმწიფის კარის გარიგება”

"ხელმწიფის კარის გარიგების" კონსტიტუციურ მნიშვნელობაზე მიუთითებს მისი შინაარსი, რომელშიც ასახულია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება. მისი თხრობის ხასიათი ნათლად გამოხატავს მეფის ძლიერი ხელისუფლების იდეოლოგიას. გარიგებაში მოცემულია ცენტრალური ხელისუფლების დახასიათება, სასახლის კარის ეტიკეტი და ა.შ. გარიგების ჩვენამდე მოღწეული ტექსტი XIV საუკუნეს განეკუთვნება. ექვთიმე თაყაიშვილმა "ხელმწიფის კარის გარიგება გიორგი ბრწყინვალის მეფობის (1314-1346) პერიოდით დაათარილა. ტექსტი, მართალია, ერთობ დაზიანებულია, მაგრამ მაინც შესაძლებელია ერთიანი საქართველოს სახელმწიფო წყობილებაზე წარმოდგენის შექმნა. ამასთან, მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო მსგავსი მიმართულების პირველი და ერთადერთი ნაწარმოები. ეს კარგად ჩანს თვით ძეგლის თხრობის სტილში. მასში ავტორი ხშირად გამოთქვამს საკუთარ აზრს და პოლემიკას მართავს მსგავსი ნაშრომების ავტორებთან. აღნიშნულის გამო ივ. სურგულაძე მიუთითებდა: "ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე ამგვარი ხასიათის

ნაშრომები იწერებოდა, თავისთავად... მაჩვენებელია, რომ იურიდიული აზროვნება მაშინდელ საქართველოში მაღალ დონეზე მდგარა”.

საკითხის შესწავლისას, საყურადღებო წყაროა “წესი და განგებაი მეფეთა კურთხევისა”. მასში განსაზღვრულია მეფის ხელისუფლების, სახელმწიფო აპარატის სამეფო დარბაზობის ფუნქციონირების წესი, ე.ი. იგი ახდენს შესაბამისი სახელმწიფო სამართლებრივი ინსტიტუტების სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების უფლებამოვალეობათა რეგლამენტაციას.

ყუთლუ-არსლანის დასი

არ შეიძლება საგანგებოდ არ შევეხოთ თამარის ეპოქაში სამოღვაწეო ასპარეზზე ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკური ვითარების შესწავლისათვის. ამასთან, მეტად სადაოა ისტორიულ მეცნიერებაში. ავტორთა ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, რომელიც ივ. ჯავახიშვილიდან მომდინარეობს, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა გააზრებულია როგორც პარლამენტური მოძრაობა და დასის მოთხოვნები აღქმულია ხელისუფლების განაწილების მოთხოვნად [3. 186]. ავტორთა მეორე ჯგუფი საწინააღმდეგო შეხედულებებისაა. მაგალითად, მკვლევარი ილ. ანთელავა თვლის, რომ: “შესაბამისი წყაროების ტექსტებიდან პირველი ჯგუფის ავტორთა მოსაზრებები არ დასტურდება” [4. 197]. ძალზედ საყურადღებო და ორიგინალურ მოსაზრებას ავითარებს პ. რატიანი, რომელმაც აღნიშნული მოძრაობის შედეგი წარმოიდგინა, როგორც წოდებრივწარმომადგენლობითი მონარქიის ჩამოყალიბება საქართველოში და პარალელი გაავლო XIII საუკუნის ინგლისის პოლიტიკურ მოვლენებთან [5.94].

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, თავად ის ფაქტი, რომ ამ პერიოდისათვის არსებობდა ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა, რომელიც აღნიშნული საკითხების საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვდა, მიუთითებს მაღალ სახელმწიფო-სამართლებრივ აზროვნებასა და კულტურაზე.

“დასტურლამალი”

თუ “ხელმწიფის კარის გარიგება” ოფიციალური ორგანოს კანონშემოქმედების შედეგი არ არის, ამ მხრივ ოფიციალურ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ვახტანგ VI მიერ შედგენილი “დასტურლამალი”. ამ აქტის საშუალებით, ხდებოდა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების სფეროში აღმოცენებული ურთიერთობების რეგულირება. “დასტურლამალი”-ს ტექსტი საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ჯერ კიდევ დავითისა და თამარის დროს და უფრო ადრეც არსებობდა ცალკეული ხასიათის სახელმწიფო სამართლებრივი აქტები.

“დასტურლამალი” მხოლოდ სახელმწიფოს მართვა-გამგეობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. ამით კარგად ჩანს მისი ძირითადი, კონსტიტუციური მნიშვნელობა, რის დასტურადაც შეიძლება მოვიყვანოთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: “დასტურლამალი”-ს შექმნით ვახტანგ VI მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა კვლავ ერთმანეთისაგან განსაზღვრა და სახელმწიფო სამართალსაც “დასტურლამალი”-ს შექმნით მტკიცე საფუძველი დაუდო: “ამიერიდან სახელმწიფო მართვა-გამგეობის გარკვეული წესი იყო დამყარებული და მისი რყევა და დარღვევა ასე იოლი აღარ იქნებოდა” [1. 66]. ძეგლში აღწერილია სასახლის ეტიკეტი, სასახლის მოხელეების ფუნქციები, აუდიენციები, სასამართლო ხელისუფლების დახასიათება და სხვა.

ამავე პერიოდის კონსტიტუციური აზროვნების შესანიშნავი ნიმუშია ტახტის მემკვიდრის, დავითის, მიერ შედგენილი კანონები, რომელთაგან ზოგიერთი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საკითხებს შეეხება.

სამწუხაროდ, რუსული მმართველობის დამკვიდრებამ და ასევე ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლამ გამორიცხა ამ აქტების პრაქტიკულად მიღება და მათი მოქმედების რაიმე შესაძლებლობა.

1832 წლის შეთქმულთა დაკითხვის ოქმებიდან

კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში კრიზისის დაწყების დროს, შესანიშნავი ფურცელია 1832 წლის შეთქმულთა მოღვაწეობა. სამწუხაროდ, შეთქმულთა მიერ შედგენილი რაიმე ოფიციალური დოკუმენტი არ გადარჩენილა. მათი სახელმწიფოებრივი იდეების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მათი დაკითხვის ოქმებიდან. როგორც შეთქმულთა საგამომიებო მასალებიდან ირკვევა, 1832 წელს მათ მჭიდრო იდეური კავშირი ჰქონდათ დეკაბრისტებთან, ხოლო ამ უკანასკნელთა მიზანს, როგორც ცნობილია, რუსეთში ბატონყმობის გაუქმება და კონსტიტუციური მმართველობის დამყარება წარმოადგენდა.

შეთქმულთა დაკითხვის ოქმებიდან ჩანს, რომ მათ ერთ ნაწილს განზრახული ჰქონია კონსტიტუციური მონარქიის შექმნა. ერთ-ერთი მონაწილის, ტარასი ალექსიშვილის, ჩვენებაში მოყვანილია ზაალ ერისთავის პასუხის ციტირება, რომ „...საკუთარი მეფეც გვეჯდება და პარლამენტიც გვექნება და ყველანი იმას დაემორჩილებიანო~ [6. 22]. სხვა მსგავსი მაგალითების მოხმობაც შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, მათი კონსტიტუციური შეხედულებებისა და იმ დროისათვის მოწინავე სახელმწიფო სამართლებრივი კულტურის შესახებ თქმულითაც ნათელი სურათი იქმნება. მით უფრო, დასაინანია, რომ ამ იდეებმა, რაიმე დოკუმენტის სახით ჩამოყალიბებულმა, ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ამ თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესოა სამოციანელთა და მათი შემდგომი მოღვაწეების საქმიანობა, რაც ფართოდ არის ასახული როგორც ისტორიულ, ისე იურიდიულ ლიტერატურაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია

1921 წლის კონსტიტუციის მიღების პერიპეტიები

იურიდიულ ლიტერატურაში მრავალგზის არის მითითებული, რომ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია საქართველოს კონსტიტუციონალიზმის თავფურცელია, რომ მანამდე ჩვენს ქვეყანას კონსტიტუცია, როგორც ერთიანი საკანონმდებლო აქტი, კონსტიტუციის თანამედროვე იურიდიული მნიშვნელობით, არ ჰქონია.

1917 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, რუსეთის იმპერიაში შეიქმნა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პირობები.

საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრიობის აღდგენის დაუშრეტელი სურვილის მქონე ქართველ ხალხს ეს მომენტი ყურადღების მიღმა არ დარჩენია. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია და გამოაქვეყნა დამოუკიდებლობის აქტი. აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. შეცვლილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ და დამოუკიდებელმა სახელმწიფოებრივმა აღმშენებლობამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის ძირითადი კანონის - კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობა.

1918 წლის 11 ივლისს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია პ. საყვარელიძის თავმჯდომარეობით. ცოტა მოგვიანებით, 1918 წლის 12 მარტს, არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გაზრდილიყო კომისიის შემადგენლობა. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა, კ. კიკნაძე, ივ. კვესაშვილი, ივ. გომართელი, გრ. ყიფშიძე, ექვ. თაყაიშვილი, ვ. ყიფიანი, ივ. კარიჭაშვილი. საკონსტიტუციო კომისიამ მოკლე დროში საკმაო მოცულობითი სამუშაო ჩაატარა და თითქმის წლისთავზე კონსტიტუციის პროექტი მზად იყო. 1921 წლის 21 იანვარს დამფუძნებელი კრება შეუდგა კონსტიტუციის პროექტის განხილვას. საქართველოს ცხოვრებაში ეს უმნიშვნელოვანესი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და ისტორიული ფაქტი მეტად ტრაგიკული მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა. მოახლოებული წითელი ბოლშევიკური საფრთხის გამო,

დამფუძნებელმა კრებამ ვერ მოასწრო კონსტიტუციის სრული და საფუძვლიანი განხილვა და იძულებული გახდა 1921 წლის 21 თებერვალს ნაჩქარევად დაემტკიცებინა წარმოდგენილი პროექტი. სულ მალე ბოლშევიკური საფრთხე მწარე რეალობად იქცა. საბჭოთა რუსეთის ჯარები შეიჭრნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა. განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა რუსეთსაქართველოს ომის დაწყება, რაც საბოლოოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხებითა და საბჭოთა სისტემის ძალდატანებითი ექსპორტით დამთავრდა. 1921 წლის 17 მარტს დამფუძნებელმა კრებამ ბოლო სხდომაზე, ბათუმიდან გასვლის წინ რამდენიმე საათით ადრე, მიიღო დადგენილება 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედების დროებით შეჩერების შესახებ.

1921 წლის კონსტიტუციაზე ყურადღების გამახვილება, მისი დახასიათება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც უდიდესია ამ აქტის მნიშვნელობა, როგორც მრავალი ათეული წლის მანძილზე სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლისა. მით უფრო, აუცილებელია დღეს მისი გააზრება, რადგანაც 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ “ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას”.

1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია შედგება 149 მუხლისა და 17 თავისაგან. კონსტიტუციამ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარა დემოკრატიული რესპუბლიკა და იგი მუდმივ, უცვლელ ფორმად გამოაცხადა. საქართველო გამოცხადდა თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ.

1921 წლის კონსტიტუციის, როგორც დემოკრატიული აქტის, ერთერთ საუკეთესო მახასიათებელს წარმოადგენს მისი მე-3 თავი, რომელმაც მოახდინა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა რეგლამენტაცია.

კონსტიტუციამ დაუშვებლად მიიჩნია ორმოქალაქეობა. მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსი ეფუძნებოდა თანასწორობის პრინციპს. აიკრძალა ყოველგვარი წოდებრივი განსხვავებისა და ხარისხის მინიჭება, გარდა აკადემიურისა.

ურთულესი საშინაო თუ საგარეო მდგომარეობის მიუხედავად, კონსტიტუციამ გააუქმა სიკვდილით დასჯა და აღიარა პიროვნების ხელშეუხებლობა.

კონსტიტუციაში წარმოდგენილი იყო პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების ფართო სპექტრი. ცალკე თავად გამოიყო ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები. მაგალითად, დაწყებითი განათლება საყოველთაოდ, უსასყიდლოდ და სავალდებულოდ გამოცხადდა.

სახელმწიფო კისრულობდა ვალდებულებას უღარიბესი ოჯახების შვილებისათვის აღმოეჩინა დახმარება საზრდოს, ტანსაცმლისა და სასწავლო ნივთების უფასო გადაცემით.

კონსტიტუციაში პირდაპირ არ ყოფილა აღიარებული ხელისუფლების განაწილების პრინციპი, მაგრამ კონსტიტუციით განსაზღვრული ხელისუფლების ორგანიზაცია მოწმობს, რომ იგი აღიარებს და ეყრდნობა სწორედ ხელისუფლების დანაწილების თეორიას.

ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ აღიარებული იყო პარლამენტი, რომელიც აირჩეოდა პროპორციული საარჩევნო სისტემით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სამი წლის ვადით.

აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევდა პარლამენტი. მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრებოდა ერთი წლით. ერთი და იგივე პირის არჩევა მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე შესაძლებელი იყო მხოლოდ ორჯერ.

სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სენატი, რომელსაც ირჩევდა პარლამენტი. კონსტიტუცია ადგენდა მართლმსაჯულების განხორციელების დემოკრატიულ პრინციპებს.

შესაბამისად, გამოცხადდა:

- ≡ სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლეთა მხოლოდ კანონისადმი მორჩილება;
- ≡ მოსამართლეთა არჩევითობა;
- ≡ სასამართლოში საქმის განხილვის საჯაროობა;
- ≡ განხილვაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა და სხვა.

კონსტიტუციამ განსაზღვრა ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, რომლის ფარგლებში დააწესა შემდეგი ავტონომიური ერთეულების არსებობა: სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველო ანუ ბათუმის მხარე, ზაქათალას ოლქი. ამ ავტონომიურ ერთეულებს ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებში მინიჭებული ჰქონდათ ფართო თვითმმართველობის უფლება.

1921 წლის კონსტიტუციაში ცალკე თავები ეთმობოდა სახელმწიფო ფინანსებს, სახელმწიფო კონტროლს, სახელმწიფო თავდაცვას, ადგილობრივ თვითმმართველობას, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, სახელმწიფო მოხელეებს, სახელმწიფოსა და ეკლესიას და სხვა.

კონსტიტუციის ბოლო თავში განსაზღვრული იყო მისი გადასინჯვის, კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი. ამ წესის მიხედვით, იგი შეიძლება მივაკუთვნოთ რთულ კონსტიტუციათა რიგს. კონსტიტუციის გადასინჯვის უფლების მქონე სუბიექტებს წარმოადგენდა პარლამენტი, მის წევრთა არა ნაკლებ ნახევრის სახით და 50.000

ამომრჩეველი. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ წინადადება პარლამენტის დღის წესრიგში არ შეიძლება დასმულიყო მისი შეტანიდან არა უადრეს 6 თვისა.

მთლიანი ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულად ითვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა პარლამენტის საერთო რაოდენობის ორი მესამედი.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია როგორც ფორმით, ისე შინაარსით სრულად პასუხობდა დროის შესაბამის დემოკრატიულ მოთხოვნებს, პარაგრაფის დასაწყისში აღნიშნულ გარემოებათა გამო მისი მოქმედება უკიდურესად ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება აღსდგა 1992 წლის 21 თებერვლის საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაციის საფუძველზე, მაგრამ ამ პერიოდისათვის 1921 წლის კონსტიტუციის მთელი რიგი ნორმები და ინსტიტუტები თანამედროვეობისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა და მან პრაქტიკულად ვერ მოახერხა ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლების რეგულირება.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციები

საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა

1921 წელს, გარე ძალის უხეში ჩარევის შედეგად, შეწყდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო ოკუპაციამ და საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივმა ექსპორტმა სათავე დაუდო საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას.

შეცვლილმა საზოგადოებრივმა წესწყობილებამ, ახალი პოლიტიკური ძალის - საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ, დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების შეცვლილი პირობების საკანონმდებლო რეგლამენტაცია. დაისვა საკითხი კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების შესახებ.

1922 წლის პირველი საბჭოთა კონსტიტუცია

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, 1922 წლის 2 მარტს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთი კვირის თავზე, მიიღო საქართველოს რიგით პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც შედგებოდა 23 თავისა და 134 მუხლისაგან.

1922 წლის კონსტიტუციამ განამტკიცა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში. 1922 წლის კონსტიტუციის შესაბამისად, გაუქმდა რევოლუციური კომიტეტები და ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური საფუძვლების მიხედვით ჩამოყალიბდა სახელმწიფო ორგანოთა ახალი სისტემა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა. ყრილობათა შორის პერიოდში ხელისუფლებას განახორციელებდა ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკ). ცაკ-ის სესიათა შორის ხელისუფლებას განაგებდა ცაკ-ის პრეზიდიუმი, რომელიც აირჩეოდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მიერ.

მმართველობის უმაღლეს ორგანოს - მთავრობას წარმოადგენდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო), რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ქმნიდა. რაც შეეხება ადგილებზე ხელისუფლების ორგანიზაციას, ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები და შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტები.

კონსტიტუციამ გააუქმა კერძო საკუთრება როგორც მიწაზე, ისე კერძო სახის ყველა მსხვილ წარმოებასა და საწარმოო საშუალებებზე. კონსტიტუციის თანახმად, ხელისუფლების ორგანიზაცია ემყარებოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. ამასთანავე, კონსტიტუციამ აღიარა ერთიანი სახალხო სასამართლო, ერთი მუდმივი მოსამართლისა და ორი ან ექვსი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

1922 წლის კონსტიტუციის 102-ე მუხლით, შეიზღუდა საყოველთაო საარჩევნო უფლება. კონსტიტუციამ როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება წაართვა მოქალაქეთა შემდეგ კატეგორიებს:

1. პირებს, რომლებიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას მოგების მიღების მიზნით;
2. პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ არასაკუთარი შრომის შემოსავლით;
3. კერძო ვაჭრებს, შუამავლებსა და კომერციულ შუამავლებს;
4. ბერ-მონაზვნებსა და რელიგიური კულტის სასულიერო პირებს;
5. ყოფილი პოლიციისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის მოსამსახურეებსა და აგენტებს;
6. პირებს, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი იყვნენ სულით ავადმყოფებად და გონებადაქვეითებულებად, აგრეთვე მზრუნველობის ქვეშ მყოფთ;
7. პირებს, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის განაგებით, ანგარებისა და სხვა დამამცირებელი დანაშაულობებისათვის.

კონსტიტუცია ფორმალურად აღიარებდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

1927 წლის კონსტიტუცია

საბჭოთა საქართველოს შემდგომი კონსტიტუციური ცხოვრება დაკავშირებულია ახალი სახელმწიფოებრივი ფორმების ჩამოყალიბებასთან. კერძოდ, 1922 წლის 13 დეკემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (სფსრ), რომელმაც შეიმუშავა და მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია. 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა სსრ კავშირი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ამიერკავკასიის სფსრ.

ახალი საკავშირო სახელმწიფოს შექმნამ დღის წესრიგში დააყენა კონსტიტუციის მიღების საკითხი. 1924 წლის 31 იანვარს, საბჭოების საკავშირო მეორე ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის კონსტიტუცია.

საქართველო საბჭოთა კავშირში შედიოდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა 1922 წლის დეკემბრიდან.

საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლისა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეორე საბჭოთა კონსტიტუციის მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

საქართველო ვალდებული იყო თავისი კონსტიტუცია შესაბამისობაში მოეყვანა ა/კ სფსრ და სსრკ კონსტიტუციებთან. ამ მოთხოვნის შესაბამისად, 1927 წლის 4 აპრილს, საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს ახალი კონსტიტუცია. 1927 წლის კონსტიტუცია შედგებოდა 8 თავისა და 114 მუხლისაგან.

1927 წლის კონსტიტუციით დაფიქსირდა რეალური მდგომარეობა, რომლითაც შეიზღუდა საქართველოს სუვერენიტეტი საკავშირო სახელმწიფოს სასარგებლოდ. კერძოდ, ეს გარემოება გამოიხატა იმაში, რომ შეიცვალა სახელმწიფო ორგანოთა უფლებრივი მდგომარეობა. კონსტიტუციით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას აღარ მიეკუთვნებოდა საგარეო, საზღვაო, თავდაცვისა და საგარეო ვაჭრობის საკითხები. ამასთან, კონსტიტუციამ უცვლელად დატოვა ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურა.

კონსტიტუციურ სიახლეთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალი IV და V თავების დამატება, რომლებიც ავტონომიურ ერთეულებს შეეხებოდა. კერძოდ, აღნიშნულ თავში რეგულირებული იყო აჭარის სამართლებრივისტატუსი, როგორც ავტონომიური რესპუბლიკისა; მებუთეთავიეთმობოდა აფხაზეთს, რომელიც განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედიოდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; კონსტიტუციით განისაზღვრა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამართლებრივი სტატუსი.

1927 წლის კონსტიტუციით შემოღებულ იქნა “საპროკურორო ზედამხედველობა, რომელიც ერთიან სახალხო სასამართლოსთან არსებობდა.

კონსტიტუცია არეგულირებდა პიროვნების უფლებრივ მდგომარეობას, საარჩევნო სისტემას, ეროვნულ პოლიტიკას, კონსტიტუციის ცვლილებების საკითხებს, ახლებურად განსაზღვრავდა ქვეყნის სოციალურ სტრუქტურას და ა.შ.

1937 წლის სტალინური კონსტიტუცია

1927 წლის კონსტიტუცია შეცვალა საქართველოს რიგით მესამე, 1937 წლის საბჭოთა კონსტიტუციამ, რომელიც დაამტკიცა 1937 წლის 13 თებერვალს საქართველოს სსრ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ.

1937 წლის კონსტიტუცია, რომელიც 14 თავისა და 162 მუხლისაგან შედგებოდა, წარმოადგენდა საქართველოში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის იურიდიულ ბაზას. ამ დანიშნულებით 1937 წლის კონსტიტუცია ოთხი ათეული წლის მანძილზე მოქმედებდა.

1937 წლის კონსტიტუციამ, რომელიც სსრკ 1936 წლის ე.წ. სტალინური კონსტიტუციის ბაზაზე იყო შექმნილი, არსებითად შეცვალა სახელმწიფო ორგანოთა სისტემა.

კონსტიტუციით, უმაღლეს ხელისუფლებას და ქვეყანაში ერთადერთ საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. იგი აირჩეოდა 4 წლის ვადით, რომელიც იკრიბებოდა სესიებზე. სესიას წელიწადში ორჯერ იწვევდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. სესიებს შორის პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლებას განახორციელებდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც აირჩეოდა უმაღლესი საბჭოს მიერ შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმის მდივანი და პრეზიდიუმის 13 წევრი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანგარიშვალდებული იყო უმაღლესი საბჭოს წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, რომელსაც ქმნიდა საქართველოს უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე; თავმჯდომარის მოადგილეები; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს სსრ სახალხო კომისრები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ანგარიშვალდებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო სესიათა შორის პერიოდში - უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

1937 წლის კონსტიტუციით გაუქმდა პოლიტიკური შეზღუდვები. კერძოდ, კონსტიტუციურად დადგინდა არჩევნების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით.

კონსტიტუციამ ქვეყნის პოლიტიკურ საფუძვლად აღიარა მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ხოლო ეკონომიკური სისტემის საფუძვლად გამოაცხადა მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება.

1937 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების მოცულობა. კონსტიტუციაში აისახა ისეთი მნიშვნელოვანი უფლება-თავისუფლებები, როგორცაა სიტყვის, ბეჭდვის, კრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება, მსვლელობებისა და მიტინგების თავისუფლება და ა.შ.

აღნიშნული კონსტიტუციით პირველად განხორციელდა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა - დარაიონება.

უფრო დახვეწილი და სრულყოფილი გახდა სასამართლო და პროკურატურის ორგანოთა სისტემა. მართლმსაჯულება ხორციელდებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოებისა და სახალხო სასამართლოების მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ირჩევდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო 5 წლის ვადით. ამავე ვადით აირჩეოდა ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები შესაბამისი საბჭოების მიერ.

კანონებზე უზენაესი ზედამხედველობა ევალებოდა პროკურატურის ორგანოებს. საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს, ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, რაიონის პროკურორს ნიშნავდა რესპუბლიკის პროკურორი და ამტკიცებდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

კონსტიტუციამ განსაზღვრა სახელმწიფო სიმბოლიკა და დედაქალაქი.

კონსტიტუცია ითვალისწინებდა მისი შეცვლის მექანიზმს, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რისთვისაც საჭირო იყო უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობა.

1978 წლის კონსტიტუცია

საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურმა მანქანამ 60-იანი წლებისათვის გამოაცხადა, რომ “სსრ კავშირში სოციალიზმმა სრულიად და საბოლოოდ გაიმარჯვა და თითქოს ამან გამოიწვია პროლეტარიატის დიქტატურის გადაზრდა საერთო-სახალხო სახელმწიფოში. ბუნებრივია, შეცვლილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი კონსტიტუციის შემუშავება და მიღება. 1977 წლის 1 ივლისის სხდომაზე უმაღლესი საბჭოს VI სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებლად კომისიის შექმნის შესახებ“. კომისიას თავმჯდომარეობდა ედუარდ შევარდნაძე, კომისიის შემადგენლობაში შედიოდა 39 წევრი.

კომისიამ წარმოადგინა კონსტიტუციის პროექტი, რომლის დედანს, რასაკვირველია, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია წარმოადგენდა. პროექტი კომისიის

გადაწყვეტილებით წარედგინა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც მოიწონა პროექტი და გამოაქვეყნა პრესაში.

1978 წლის 15 აპრილს, საქართველოს სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიამ დაამტკიცა კონსტიტუციის ძირითადი ტექსტი. 1978 წლის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) შედგებოდა პრეამბულის, თერთმეტი კარის, ოცდაორი თავისა და 185 მუხლისაგან.

1978 წლის კონსტიტუციით, საქართველო სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით კვლავ სოციალისტურ საერთო-სახალხო სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნოდა. საქართველოს სახელმწიფო გამოხატავდა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს.

კონსტიტუციამ კერძო საკუთრების გვერდის ავლით გამოაცხადა საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნება. რესპუბლიკაში აღიარებული იყო საკუთრების შემდეგი ფორმები: სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ინდივიდუალური და შერეული საკუთრება.

კონსტიტუციის მე-3 თავის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის საფუძვლად კვლავ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი იქნა აღიარებული. გართულდა სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რომელსაც კონსტიტუციაში ოთხი კარი ჰქონდა დათმობილი. კონსტიტუციით, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, უმაღლესი საბჭოდან სასოფლო საბჭოს ჩათვლით, ქმნიდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ერთიან სისტემას, ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აირჩეოდა 5 წლის ვადით, ხოლო ადგილობრივი საბჭოები - ორწელიწადნახევრით. დეპუტატთა არჩევნები ეწყობოდა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობდა ყველა მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებდა საარჩევნო კანონის მოთხოვნებს, ხოლო პასიურ საარჩევნო

უფლებას პირი იძენდა 21 წლის ასაკიდან. საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში შედიოდა 300 დეპუტატი. საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს ადმინისტრაციულ-განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ანუ მთავრობა. მის შემადგენლობაში შედიოდა: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს სსრ მინისტრები, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეები. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიოდნენ ასევე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ მთავრობა ანგარიშვალდებული იყო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე.

საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციაში, წინა კონსტიტუციებთან შედარებით, კიდევ უფრო გაფართოვდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები.

კონსტიტუციის 21-ე და 22-ე თავები, შესაბამისად, ეთმობოდა სასამართლოსა და პროკურატურას, სადაც განსაზღვრული იყო მათი სამართლებრივი სტატუსის კონსტიტუციური საფუძვლები.

მიუხედავად იმისა, რომ 1978 წლის კონსტიტუცია, მის წინამორბედ კონსტიტუციებთან შედარებით, როგორც ფორმით, ისე შინაარსის მიხედვით უფრო სრულყოფილ დონეზე იყო შესრულებული, იგი მაინც საბჭოთა კონსტიტუციებისათვის მახასიათებელ თვისებებს ატარებდა. ამ თვისებათა შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციური განვითარების ყველა ეტაპზე თან ახლდა “საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მთელი რიგი დემოკრატიული პრინციპების ფორმალური აღიარება, ფაქტობრივად დესპოტიზმის, სისხლიანი მმართველობისა და ადამიანის უფლებობის ვითარებაში [7. 94].

თუმცა, 1978 წლის კონსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობა აღნიშნულით არ დასრულებულა. მასში ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სსრ 1984 წლის 7 იანვრის, 1986 წლის 5 ივლისის, 1989 წლის 18 ნოემბრის, 1990 წლის 20 მარტისა და 18 აგვისტოს, ასევე საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14, 15, 22 ნოემბრის, 11 და 28 დეკემბრის, 1991 წლის 29 იანვრის, 27, 28 თებერვლის, 20 მარტის, 14, 23, 27 აპრილის, 23 მაისის, 14 იანვრის, 25 ივლისის, 2, 10, 26 აგვისტოს, 11 და 30 ოქტომბრის კანონებით. აღნიშნულმა, განსაკუთრებით კი 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ პერიოდში, კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა თვისობრივად უცვალეს სახე მას, იგი უფრო დემოკრატიული და სრულყოფილი, საქართველოს გარდამავალი პერიოდისათვის შესატყვისი კონსტიტუცია გახდა.

საქართველოს კონსტიტუციური განვითარება 1995 წლის 24 აგვისტომდე

1978 წლის კონსტიტუციის ფუნდამენტური ცვლილებები

ცვლილებებმა, რომლებიც 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ 1978 წლის კონსტიტუციაში შეიტანა, არსებითად უცვალეს სახე კონსტიტუციას.

აღნიშნულ ცვლილებათა შესაბამისად, შეიცვალა სახელმწიფო წყობილების ფორმა, ახლებურად განისაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურა.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელიც 250 დეპუტატისაგან შედგებოდა და აირჩეოდა 5 წლის ვადით. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდნენ საკრებულოები. ადგილებზე მმართველობის განხორციელება ხდებოდა პრეფექტურის ინსტიტუტის საშუალებით. უფრო მოგვიანებით კი შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი.

საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება არჩეული ყოფილიყო დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე. განსაზღვრული იყო პრეზიდენტის როგორც მინიმალური, ისე მაქსიმალური ასაკობრივი ზღვარი 35-დან 65 წლამდე.

საქართველოს პრეზიდენტს ირჩევდნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

პრეზიდენტის არჩევნების წესს დეტალურად განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი “პრეზიდენტის არჩევნების შესახებ”:

ეროვნული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა სახელმწიფოს სიმბოლიკა - ემბლემა, დროშა, ჰიმნი. შეიცვალა კონსტიტუციის პრეამბულა, რომელშიც რეალური ისტორიული შეფასება მიეცა საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობას სსრ კავშირის შემადგენლობაში. დაფიქსირდა ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ განვლილი გზა 1921 წლიდან 1990 წლამდე. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა სიტყვები “საბჭოთა სოციალისტური“, ასევე მე-6 მუხლი, რომელიც აღიარებდა კომუნისტური პარტიის წარმმართველ ძალას და ფაქტიურად უზრუნველყოფდა მისი, როგორც ერთადერთი პარტიის, უზენაესობასა და ხელისუფლების უზურპაციას. ყველაფერმა ამან საქართველო დააყენა განვითარების თვისობრივად ახალ გზაზე. საქართველოში დაიწყო გარდამავალი პერიოდი. ქვეყანა რთულ პირობებში იყო, მაგრამ მაინც დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესი.

1991-1992 წლები

1991 წლის ბოლოსათვის პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა, რამაც შეაფერხა გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის განხორციელება. მალე პოლიტიკური პროცესების გათვლებამ კულმინაციას მიაღწია, რაც დაგვირგვინდა ხელისუფლების შეცვლით სამხედრო ჩარევის გზით. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ და დროებითმა მთავრობამ.

როგორც მივუთითეთ, აღნიშნულ გარემოებათა გამო, ფაქტიურად შეწყდა გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის მოქმედება. 1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. თუმცა, მისი "სამოქმედოდ შემოღება არარეალური აღმოჩნდა და თანამედროვე პირობებში მოქმედ აქტად ვერც გამოდგებოდა" [7. 75]. ყოველივე ამის ფონზე გაურკვეველი რჩებოდა სახელმწიფო ორგანოთა სამართლებრივი მდგომარეობა, ქვეყნის მართვა დეკრეტების საფუძველზე შეუძლებელი იყო, ამიტომ დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციის მიღების საკითხი. მაგრამ კონსტიტუციის შემუშავება და მიღება გარკვეულ დროსა და პირობებთან იყო დაკავშირებული. არც კონსტიტუციური ვაკუუმის პირობებში შეიძლებოდა ქვეყნის დატოვება. 1992 წლის 6 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ".

კანონი "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ"

მართალია, კანონი "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კონსტიტუციას არ წარმოადგენდა, მაგრამ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე სწორედ მას უნდა შეესრულებინა კონსტიტუციის ფუნქცია. კანონის ამ მაღალ დანიშნულებაზე თვით კანონის შესავალში არსებული დებულება მიუთითებდა, რომ `ეს კანონი განსაზღვრავს ქვეყნის საგანგებო საშინაო და საგარეო მდგომარეობით განპირობებული საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილების, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, რაც განხორციელდება 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მემკვიდრეობის საფუძველზე`.

კანონი შედგება შესავალი ნაწილის, 8 თავისა და 33 მუხლისაგან. ის აღიარებს საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმას, განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას, იძლევა იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც ირჩევს ან ნიშნავს პარლამენტი. განსაზღვრავს პარლამენტის საქმიანობისა და ორგანიზაციის წესს, რომელიც გარკვეულ თავისებურებებს წარმოშობდა საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმის შიგნით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ირჩევდნენ არა დეპუტატები პარლამენტის შემადგენლობიდან,

არამედ მას ირჩევდა უშუალოდ ხალხი. ე.ი. პარლამენტის თავმჯდომარე გამოყოფილ იქნა პარლამენტის შემადგენლობიდან, ამიტომ იგი 1992 წლის 11 ოქტომბერს, პარლამენტთან ერთად, უშუალოდ მოსახლეობის მიერ იქნა არჩეული. საარჩევნო დებულების შესაბამისად, პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, კანონის მე-8 მუხლით "პარლამენტი ირჩევს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს". უფრო კონკრეტულად, კანონის მე-17 მუხლში აღნიშნული იყო, რომ "საქართველოს რესპუბლიკის მეთაურად პარლამენტის მიერ, მისი სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით აირჩევა პარლამენტის თავმჯდომარე, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით". ეს წესი ქმნიდა ორმაგი არჩევნების საჭიროებას, რაც რთულ პროცედურასთან იყო დაკავშირებული და ნორმათა ტექნიკურ კოლიზიას ქმნიდა.

კანონი "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" დიდ უფლებამოსილებებს ანიჭებდა სახელმწიფო მეთაურს. კანონის თანახმად, იგი სათავეში უდგას მმართველობის ორგანოთა სისტემას საქართველოში, ქმნის მთავრობას, წარუდგენს პარლამენტს რესპუბლიკური მასშტაბის ყველა თანამდებობის პირის კანდიდატურას, უმაღლესი მთავარსარდალია და ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირებს, შეარჩევს ელჩებს, წარმომადგენლებსა და სხვა.

სახელმწიფოს მეთაური წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში. ვალდებული იყო უზრუნველყო სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, სახელმწიფო ორგანოების ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა.

კანონმა "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", როგორც ვხედავთ, დაამკვიდრა თავისებურად ახალი ქართული მოდელი – "პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური, რაც იმ დროს "მართებულად იქნა აღიარებული [8. 13]. თუმცა, თუ კანონის არსს დეტალურად ჩავუღრმავდებით, იგი არსებითად ხელყოფდა ხელისუფლების განაწილების პრინცი პს. პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც პარლამენტის გვერდის ავლით აირჩევა, სათავეში ედგა ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, ამასთან, ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე არჩეული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მეთაურად. სახელმწიფოს მეთაური, ამავე

დროს, ხელმძღვანელობდა აღმასრულებელი ხელისუფლების მთელ სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაური არსებითად მაინც მმართველობის ორგანოს წარმოადგენდა, აღნიშნული მოდელის ფარგლებში იგი, მმართველობითი უფლებამოსილებების გარდა, ხელისუფლების განხორციელების ფართო უფლებამოსილებითაც იყო აღჭურვილი. სახელმწიფოს მეთაური, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილი იყო გამოეცა კანონის ძალის მქონე აქტები და ეს უფლებამოსილება არ იყო დადასტურებული კონსტიტუციური დებულებებით.

ყოველივე ეს კი არსებითად ხელყოფდა ხელისუფლების განაწილების დემოკრატიულ პრინციპს და მიუღებელს ხდიდა ხელისუფლების ორგანიზაციის მაშინდელ მოდელს.

კანონის თანახმად, უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა მინისტრთა კაბინეტი - მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის - სახელმწიფოს მეთაურის წინაშე. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიოდა პრემიერ-მინისტრი, მინისტრები და კაბინეტის სხვა წევრები. სახელმწიფოს მეთაური ბრძანებულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემდა დადგენილებებს, ხოლო პრემიერ-მინისტრი - განკარგულებებს.

კანონმა “სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ” აღიარა სასამართლო ხელისუფლება და გამოაცხადა სასამართლოების დამოუკიდებლობის, მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპი. კანონი ითვალისწინებდა სპეციალურ თავს “ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო”. ამ ორგანოს ამოცანად განისაზღვრა ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფა ქვეყანაში. მას ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მეთაური, როგორც შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

“საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ” კანონის მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ მან პრაქტიკულად შეავსო ქვეყანაში შექმნილი კონსტიტუციური ვაკუუმი და მიღებიდან სამი წლის განმავლობაში ასრულებდა ძირითადი კანონის როლს, არეგულირებდა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებს.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია – ქვეყნის უზენაესი კანონი

1995 წლის კონსტიტუციის იურიდიული ბუნება

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ისევე, როგორც ყველა ქვეყნის კონსტიტუცია, ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რომლებიც დაკავშირებულია და გამომდინარეობს თავად კონსტიტუციური ნორმებიდან.

კონსტიტუციის მახასიათებელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის უზენაესობა. სწორედ ეს თვისება განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის ადგილს სამართლებრივ სისტემაში.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის უზენაესობა გულისხმობს, რომ იგი უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტია ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ. საქართველოს კონსტიტუციაზე, როგორც უზენაეს კანონზე, ხაზგასმულია თავად კონსტიტუციაში. იგი აღიარებს, რომ კონსტიტუცია უზენაესი კანონია და ყველა სხვა სამარ-თლებრივი აქტი შესაბამისობაში უნდა იყოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის

საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კონსტიტუცია. არაპირდაპირი გზით კონსტიტუციის უზენაესობის აღიარებით საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება შესაძლებელია განხორციელდეს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ამ ფარგლების სახით კონსტიტუცია იძლევა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობასმიკუთვნებული საკითხების ჩამონათვალს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია სამართლის ძირითადი წყაროა სხვა დარგებისათვის: სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული, შრომის, საფინანსო და ა.შ. იგი წყაროს როლს ასრულებს მთლიანად სამართლებრივი სისტემისათვის, რომლის შემადგენელი ნორმები, ინსტიტუტები და დარგები უნდა პასუხობდნენ კონსტიტუციურ პრინციპებსადა იდეებს. მოქმედი კონსტიტუცია, მისი უზენაესობის პრინცი პიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრავს და მიუთითებს იმ ორგანოზე,

რომელსაც გააჩნია კანონის მიღების უფლებამოსილება, კერძოდ, კონსტიტუციის 48-ე მუხლში ნათქვამია, რომ “საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას”.

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლი, საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილ იერარქიაში, პირველ ადგილზე სწორედ კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს მოიხსენიებს. ხოლო ამავე კანონის მომდევნო მე-20 მუხლი იმეორებს კონსტიტუციის უზენაესობის შესახებ ზემოთ მოტანილ კონსტიტუციურ დებულებას და პირველ პუნქტში აცხადებს, რომ “საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას”.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია უზენაესობის უზრუნველსაყოფად აწესებს გარკვეულ ვალდებულებებს ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის. ამ მოთხოვნას კონსტიტუცია ავრცელებს როგორც საქართველოს, ისე უცხოელ მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, “საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს” - აღნიშნულია კონსტიტუციის 54-ე მუხლის I პუნქტში. კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონის დაცვის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს. კონსტიტუციის დარღვევა საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების იმპიჩმენტის წესით პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის დასმის ერთ-ერთი საფუძველია.

როგორც მოცემული თემის პირველ პარაგრაფში მივუთითეთ, კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია კონსტიტუციური კონტროლი. საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. ამის თაობაზე “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს კანონის I მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია,

რომ “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას”.

კონსტიტუციის, როგორც უზენაესი კანონის, მნიშვნელობა უდიდესია იმ თვალსაზრისით, რომ იგი განსაზღვრავს მთელი სამართლებრივი სისტემის პათოსს, უზრუნველყოფს მთელი სისტემის შეთანხმებულობას.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ქვეყნის ძირითად კანონს, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია.

საქართველოს კონსტიტუციის, როგორც პოლიტიკური დოკუმენტის მნიშვნელობა, გამოიხატება იმაში, რომ იგი ასახავს და არეგულირებს პოლიტიკურ ძალთა იმ თანაფარდობას, რომელიც დღეს ჩვენს საზოგადოებაში არსებობს.

საქართველოს კონსტიტუციის პოლიტიკური ბუნება

კონსტიტუციის, როგორც პოლიტიკური დოკუმენტის, არსი ვლინდება მის პოლიტიკურ ფუნქციაში. ამ ფუნქციის შესაბამისად, 1995 წლის კონსტიტუცია აღიარებს პოლიტიკურ პლურალიზმს, პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას, მაგრამ აქვე აწესებს ამ მოღვაწეობის ჩარჩოებს, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში. “საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში” (მუხლი 26.2). კონსტიტუცია აწესებს პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის ფარგლებს, რომლის შესაბამისად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია აკრძალოს პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა ან გააუქმოს იგი.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, წინამორბედი საბჭოთა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, თავისი არაკლასობრივი შინაარსიდან გამომდინარე, არეგულირებს და განამტკიცებს სხვადასხვა სოციალურპოლიტიკური ძალებისაგან შემდგარი თანამედროვე საზოგადოების უაღრესად რთულ სტრუქტურას.

კონსტიტუცია განსაზღვრავს საზოგადოების სისტემის, ხელისუფლების განხორციელების მექანიზმის ელემენტებს, პოლიტიკური პროცესის მონაწილე სუბიექტებსა და მათი საქმიანობის წესს.

კონსტიტუცია სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას თანაბარ შესაძლებლობას ანიჭებს პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში ამასთან, კონსტიტუცია კრძალავს ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნასა და საქმიანობას, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

საქართველოს კონსტიტუცია აწესებს მოქალაქეთა უფლებას მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობაში, მოქალაქეთა თვითმმართველობის განხორციელებაში ჩარევას, ამასთანავე, აცხადებს, რომ თვითმმართველობა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად. მეორე მხრივ, კონსტიტუცია ზღუდავს სახელმწიფო ორგანოებში პოლიტიკური გაერთიანებების შექმნას ამ თვალსაზრისით, იგი პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების უფლებას ართმევს პირს, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად (მუხლი 26.5).

კონსტიტუცია დაუშვებლად აცხადებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნას.

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც პოლიტიკური დოკუმენტი, პასუხს სცემს კითხვაზე, თუ ვის ეკუთვნის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება. ამ

მიმართებით იგი აღიარებს სახალხო ხელისუფლებას, როცა საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ აღიარებს ხალხს. კონსტიტუცია ადგენს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის ფორმებს.

საბოლოოდ, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაზე, როგორც პოლიტიკურ დოკუმენტზე, შეიძლება ითქვას, რომ იგი განსაზღვრავს საქართველოში პოლიტიკური პროცესის მონაწილე სუბიექტების საქმიანობის წესს, ადგენს პოლიტიკური ინსტიტუტების ურთიერთზემოქმედების ფარგლებს, რითაც განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საფუძვლებს. კონსტიტუციის პოლიტიკური ფუნქციის უმთავრესი დანიშნულებაა უზრუნველყოს საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა შორის თანხმობა და მათი მშვიდობიანი თანაარსებობა, ამის საფუძველზე კი, მიაღწიოს საზოგადოების მშვიდობიან, ჰარმონიულ განვითარებას საერთო კეთილდღეობის შესაქმნელად. ეს უკლებლივ ყველა დემოკრატიული კონსტიტუციის მიზანია. ზოგიერთი პირდაპირ აცხადებს ამის თაობაზე, მაგალითად, აშშ-ს კონსტიტუციის პრემბულაში მითითებულია, რომ “ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, იმ მიზნით, რომ შევქმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დავამკვიდროთ მართლმსაჯულება, დავამყაროთ საშინაო მშვიდობა...”

საქართველოს კონსტიტუციის, როგორც სამართლებრივი დოკუმენტის ფუნქცია, გამოიხატება იმაში, რომ იგი სამართლებრივი სისტემის ბაზისი და განმსაზღვრელია. კონსტიტუცია აწესებს იმ ძირითად საწყისებს, რომელთა საფუძველზე და ფარგლებში ვითარდება სხვადასხვა დარგები. კონსტიტუცია, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის დოკუმენტი, სამართლის მთელი სისტემისათვის ქმნის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებს, უზრუნველყოფს ამ სისტემის ერთიანობას, მის შეთანხმებულ ხასიათს. სამართლებრივი სისტემის რეალიზაცია ხდება ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპების საფუძველზე, როგორცაა სახელმწიფო სუვერენიტეტი, ხელისუფლების განაწილება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები.

ინდოეთის კონსტიტუცია

ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული აქტით 1947 წლის 15 აგვისტოს ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ერთი წლით ადრე კი დამფუძნებელთა კრებას კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა დაწყებული ჰქონდა 1949 წლის 26 ნოემბერს კონსტიტუცია მიიღეს. ინდოეთის კონსტიტუცია თავისებურია, რასაც მისი მოცულობა განაპირობებს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი დოკუმენტია, რომელიც ამომწურავად და დეტალურად არეგულირებს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. ინდოეთში კონსტიტუციის დაცვას უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლო. უზენაეს სასამართლოს მინიჭებული აქვს კონსტიტუციის განმარტების უფლებამოსილება.

თურქეთის კონსტიტუცია

1980 წელს თურქეთში სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების გადატრიალების შედეგად ეროვნულმა უშიშროების საბჭომ შეაჩერა წინა კონსტიტუციის მოქმედება. 1982 წლის 7 ნოემბერს, რეფერენდუმის შედეგად მიღებული იქნე დღევანდელი კონსტიტუცია. მისი სტრუქტურა საკმაოდ რთულია. საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება ხდება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კანონის, კანონის ძალის მქონე ბრძანებულებისა და დიდი ეროვნული კრების რეგლამენტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის განხილვა ფორმისა და არსის მიხედვით.